ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 271

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

„შპს „სასათბურე მეურნეობის" ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის პირდაპირი განკარგვის წესით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე" 2010 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №100306573) განსაზღვრული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებისა და აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში არსებული დავალიანების გადახდისათვის დამატებითი ვადის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის „შპს „სასათბურე მეურნეობის" ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის პირდაპირი განკარგვის წესით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე" 2010 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №100306573) განსაზღვრული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე" 2019 წლის 20 ნოემბრის №19.1217.1543 და „შპს „სასათბურე მეურნეობის" ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის პირდაპირი განკარგვის წესით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე" 2010 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №100306573) განსაზღვრული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 20 ნოემბრის №19.1217.1543 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2020 წლის 16 სექტემბრის №20.1058.1343 განკარგულებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „შპს „სასათბურე მეურნეობის" ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის პირდაპირი განკარგვის წესით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე" 2010 წლის 1 აპრილის ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №100306573) მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის 2.3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული

ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, შპს ,,ვანის სათბურებისთვის'' (ს/კ: 204574479) დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას შპს ,,ვანის სათბურებისათვის'' (ს/კ: 204574479) ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის 2.3.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული, 2020 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით გადასახდელი, ,,წილის'' მართვის საფასურის დავალიანების - 210,000 ლარის და ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 19 აპრილის №09.28.358 დადგენილების თანახმად გაწილვადებული პირგასამტეხლოს დავალიანების 33,529.45 ლარის გადახდისათვის დამატებითი 3 თვიანი ვადის მიცემისა და შესაბამისი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე